პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი შაბათი 16 აგვისტო № 188 (17831) ფასი 2 კაპ.

ᲕᲔᲓᲐᲒᲝᲒᲗᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲑᲭᲝᲑᲐ

ახალხო განათლების ლენინური პრინციპების ზეიმი — ახეთია მასწავლებელთა ტრადიციული აგვისტოს კონფერენციების დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი მოხსენების თემა საქართველოში წელს. სახალხო განათლების ლენინური პრინციპების გამარჯვების მძლავრი იმპულსი იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობა, რომლის ისტორიული პროგრამით ხელმძღვანელად გადაისინჯა მოსწავლეთა შრომითი მომზადება. ყრილობის მასალებმა, მისგან გამომდინარე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებამ სკოლის შესახებ განსაზღვრა შრომითი სწავლების ძირითადი შინაარსი: საშუალო სკოლის კურსდამთავრებულს ჰქონდეს ისეთი ფართო პოლიტექნიკური ცოდნა, შრომის უნარი და ჩვევები, თანამედროული წარმოების მოთხოვნებს რომ შეესაბამება; სკოლამ ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლე ახალგაზრდობაში შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების აღზრდას, მიზანმიმართულად მოამზადოს მოსწავლეები პროფესიის შეგნებული არჩევისათვის. პარტიის XXV ყრილობიდან განვლილი პერიოდი ჭეშმარიტად დიდი საყოველთაო საშუალო სწავლების ხუთწლედი იყო. სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციით საყოველთაო საშუალო განათლება სავალდებულო გადა ახალგაზრდობისათვის. ამას ხელს უწყობდა პარტიისა და მთავრობის, მთელი სახელმწიფოს უდიდესი ზრუნვა საყოველთაო საშუალო განათლების მატერიალური ბაზის გაფართოება-განმტკიცებისათვის, ზრუნვა მასწავლებლებისათვის, მოსწავლე ახალგაზრდობისათვის.

დღეს უკვე ყველა პედაგოგმა იცის, რომ თავიანთ აგვისტოს კონფერენციებზე საფუძვლიანად და ყოველმხრივ უნდა განიხილონ სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის სკოლების, განათლების დაწესებულებათა წინაშე მდგომი ამოცანები.

სკოლების, სახალხო განათლების ორგანოების მუშაობის შემდგომი სრულყოფის ამოცანები უნდა დაისახოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ივნისის პლენუმის დადგენილების, ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში მოცემული მითითებების, აგრეთვე ახალგაზრდობის დარგში სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებების შესაბამისად.

მსჯელობისა და განხილვის საგანი ბევრი რამ არის, რომლებიც ხალხოვრებამ დაგვიყენა: პრობლემები ჩვენი ზრდისა და წინსვლის ეტაპზე თანამგზავრია და გადაჭრას მოითხოვს. მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდა, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის, იდეური რწმენისა და მაღალი ზნეობის ჩამოყალიბებაში საკვანძოდ მნიშვნელოვანია ოჯახის, ოჯახის, ოჯახის,

პარტიული ცხოვრება

სკკპ XXVI ყრილობის შესახვედრად

ინიციატივა ფრთაშესხმით ფასობს

შარშან იანვარში, დაბა მაიაკოვსკის კოლმეურნეობის ღია პარტიულ კრებაზე განსახილველად დასვეს საკითხი — „მიწა და ადამიანი“. როცა ამ საკითხს აყენებდნენ, კომუნისტ ბრიგადირებს, სოციალისტური შრომის გმირს ვ. გარუჩავას და მ. ზირაქაძეს, კოლმეურნე დ. ახალაძეს და სხვებს მხედველობაში ჰქონდათ ის ფაქტი, რომ კოლმეურნეობაში, თუმცა იგი რაიონში ერთ-ერთი მოწინავეა; ჯერ კიდევ რაციონალურად ვერ იყენებდნენ მიწის ფონდს, ყველაფერი როდი კეთდებოდა მოსავლიანობის გადიდების ისეთი რეზერვების ამოქმედებისთვის, როგორიც არის, მცირე მელიორაცია და ქიმიზაცია. ვენახების ერთი ნაწილი გაშენებულია იხეთ ნიადაგზე, სადაც ძნელდება მექანიზებული წესით მისი დამუშავება, ამასთან ხშირად იტბორება, ამიტომ ძირდება ერთიანულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციიზე დანახარჯი.

სწორედ ამ კრებაზე კომუნისტებმა კოლმეურნეთა სახელით ახალი ვალდებულებანი იკისრეს ხუთწლედის მეოთხე წლის დასასრულებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის. ამ ვალდებულებაში, კერძოდ, ნთქვამი იყო, რომ მიწის, რაციონალური და მეზობრივი გამოყენების, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების აგროტექნიკურ ვადებსა და მაღალ დონეზე ჩატარების, შრომატევადი პროცესების მექანიზაციისა და ძირი მელიორაციის დანერგვის შედეგად 1979 წელს სახელმწიფოს მიეყიდებოდა 4850 ცენტნერი ყურძენი, ნაცვლად საგეგმო 4000 ცენტნერისა და ვალდებულებით გათვალისწინებული 4200 ცენტნერისა, აწარმოებდნენ 1850 ცენტნერ სიმინდს, რაც 150 ცენტნერით აღემატებოდა ადრინდელ ვალდებულებას. ასევე გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს მეაბრეშუმეობაში, მებოსტნეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მხრივ.

რა მოხდა პარტიული ორგანიზაციის ამ კრების შემდეგ?

კომუნისტები ერთსულოვნად დაირაზმნენ პარტიული კრების დადგენილების განსახორციელებლად, რამაც განაპირობა მაიაკოვსკელ კოლმეურნეთა წარმატება — მათ გადაჭარბებით გააანდეს სოციალისტური ვალდებულებანი და ახლაც, მეათე ხუთწლედის ამ ბოლო წელსაც ურიგო მაჩვენებლებს ორდი ელიან. საკმარისია ითქვას, რომ წლიურს მაიაკოვსკელი კოლმეურნეები მისი თავკაცის ანდრო კიკნავლიძის, ხელმძღვანელობით ყურძნის სარეკორდო მოსავალს გეპირდებიან — თითქმის ერთი-ორად მეტს, ვიდრე ფაქტობრივად აწარმოეს შარშან.

ამ კოლმეურნეობის კომუნისტების, ასეთი ყურადღებიანი დამოკიდებულება მიწისადმი მხედველობიდან არ გამორჩენია პარტიის რაიონულ კომიტეტს. ბიუროს ერთ-ერთ სხდომაზე მოიწონეს დაბა მაიაკოვსკის, პარტიული ორგანიზაციის ღია კრების გადაწყვეტილება, განაზოგადეს ეს გამოცდილება და დაავალეს რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობათა პირველად, პარტიულ ორგანიზაციებს უფრო რაციონალურად გამოიყენებინათ მიწა, განმტკიცებინათ საშემსრულებლო დისციპლინა და მიეღოთ ზომები სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდის უზრუნველსაყოფად. დაბა მაიაკოვსკის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მაგალითისამებრ ბევრ საზოგადოებრივ მეურნეობაში განიხილეს, მიწისადმი დამოკიდებულების საკითხი.

ჩვენ აქ ერთი ფაქტი მოვიყვანეთ, თუ როგორ ცდილობენ რაიონის პარტიული ორგანიზაციები მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის. არის სხვა ფაქტებიც. რას მიაღწიეს რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა მარტო მეათე ხუთწლედში?

მაიაკოვსკის რაიონი რთული და მრავალდარგოვანია. აქ არის 15 კოლმეურნეობა, ორი საბჭოთა მეურნეობა, ერთი სამეურნეობათაშორისო მეცხოველეობის საწარმოო გაერთიანება, საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფაბრიკა, სამტრესტის ღვინის კომბინატი, ავეჯის ფაბრიკა, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი, საკონსერვო და მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხნები და სხვა საწარმო-დაწესებულებები.

თუ როგორ ვითარდება რაიონის სახალხო მეურნეობა მეათე ხუთწლედში, ამის საილუსტრაციოდ ეს ციფრებიც ეყმარა: წინა ხუთწლედის პირველ ოთხ წელიწადთან შედარებით მეათე ხუთწლედში ყურძნის წარმოება 5751 ტონით გაიზარდა, ხორცისა—944, რძისა — 1978, ხილისა — 4858, ბოსტნეულისა — 1215, აბრეშუმის პარკისა —7,6 ტონით, ხოლო ვენახისა— 4 მილიონ 404 ათასი ცალით. მეათე ხუთწლედის 4 წელიწადში რეალიზებულია 2 მილიონ 252 ათასი მანეთით მეტი ღირებულების სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, ვიდრე მეცხრე ხუთწლედის შესაბამის პერიოდში. ამ წლებში მთლიანი სამრეწველო პროდუქციის ზრდის ტემპმა 46,8 პროცენტი შეადგინა, ხოლო რეალიზაციამ — 46,5 პროცენტი.

მიმდინარე წელს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მეცხოველეობის, პროდუქტების წარმოების ზრდას. 1980 წლის ორ კვარტალში მაიაკოვსკელებმა გეგმა-ვალდებულების გადამეტებით

ს. ბ ი ო რ ბ ა ძ ე.

მევენახეთა და ღვინის მრეწველობის მუშაკთა ამასწინანდელმა თელავის თათბირმა ბევრი საპრობლემო საკითხი დააყენა რესპუბლიკის მშრომელთა წინაშე. თათბირზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ იმ არსებულ რეზერვებზეც მიგვანიშნა, რომლებიც რესპუბლიკას აქვს სახნავსათესი ფართობების გასაადიდებლად.

ასეთი რეზერვები თვალწინ გვქონდა და ზოგ შემთხვევაში კიდეც ვიყენებდით. მაგალითად, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში სადრენაჟო არხების ნაპირების ვენახებში გამოტოვებული დაუმუშავებელი ადგილების დამუშავებით ჩვენს საკარგლებს 78 ჰექტარი ფართობი შეემატება და საგაზაფხულო კულტურების ბარაქიანი მოსავალიც მივიღეთ, მაგრამ საგარეჯოელ ინიციატორთა თქმისა არ იყოს, ამოგწურეთ კია ჩვენი შესაძლებლობანი? ყველა რეზერვი გამოვიყენეთ? ეს კითხვები თათბირის შემდეგ აზმეტის რაიონის მშრომელებს მოსვენებას არ გვაძლევდა. თათბირმა ხომ ყველას თანაბარი საზრუნავი და საფიქრალი „გაგვიჩინა! ამის დასტურია გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული საგარეჯოელთა ინიციატივა— „მიწა მოხან ნაგზაური, ყანა მოვა აზნაურის!“ რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში კიდევ ერთხელ გადავსინჯეთ რეზერვები, ავზომეთ და დავათვალიერეთ სადრენაჟო არხების ნაპირები, ვენახებში გამოტოვებული დაუმუშავებელი ადგილები, საურმეები და სხვა. წინასწარი მონაცემებით ზემო ხობის ალვანისას — 40-40 ჰექტარი, მაღრაანელებისას —20. სულ კი რაიონში სახნავ-სათესი ფართობი 500 ჰექტარით მოიმატებს. გარდა ამისა რაიონში მიზნობრივად გამოვიყენებთ ახალშენი ხეხილის ბაღების რიგთაშორისებს. ამით კიდევ უფრო გავამდიდრებთ იმ საჩექარს, რომელსაც სკკპ XXVI ყრილობას ვუმზადებთ.

ა. ბუნიათშვილი — ახმეტის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი, **რ. მეკვეთრიშვილი** — მთავარი აგრონომი, **ვ. ცისკარაშვილი** — რაიონის მთავარი მიწათმოქმედი, **გ. ხარატიშვილი** — სოციალისტური შრომის გმირი, მევენახე,

500 ჰექტარ მიწას ავითვისებთ

საგარეჯოელთა მაგალითით

წყალი—სიუხვის წყარო

900 ჰექტარი უჭირავს ზვრებს საგარეჯოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში. აქედან 600 ჰექტარი მსხმოიარეა.

რაიონის უდიდესი მეურნეობის მევენახეებმა გადაწყვიტეს სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის აღსანიშნავად სახელმწიფოს მიჰყიდონ 5 ათასი ტონა ყურძენი, 1,5 ათასი ტონით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. რთველისათვის მზადების პერიოდში შესანიშნავად მუშაობს მრწყველთა ბრიგადა, რომელიც რაციონალურად იყენებს ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის თითოეულ ლიტრ წყალს.





სურათებზე: ვენახების რწყვა; საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მევენახე ვასილ გზირიშვილი (მარჯვნივ) და მეურნეობის დირექტორი გუგული ერმოწონაშვილი ათვალიერებენ ზვრებს.

ი. დავითაშვილის ფოტო, (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ბ. ბ ი ო რ გ ა ძ ე.

მაღალმთიან მესტიაში

მაღალმთიან მესტიის რაიონში საზოგადოებრივი მეურნეობები მიწების მორწყვას დიდ ყურადღებას აქცევენ. მესტიის, ბეჩოს, მულახის, იფარისა და ლახამულის მეურნეობებში 1500 ჰექტარამდე სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებს ძირითადად მიშვების წესით რწყავენ. აქ ყველა მეურნეობამ ნათესების სამჯერ მორწყა. ადგილობრივი წყლის რესურსები საშუალებას იძლევა მცირე დანახარჯებით სარწყავი ფართობები ერთიორად გადიდდეს. ამას ადასტურებს მინათმოწყობის საპროექტო ინსტიტუტის მიერ ახლახან მოწყობილი სარწყავი მიწების ინვენტარიზაციის მასალები. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროებმა საჭირო თანხები უნდა გაიღონ, რათა 1981 წლიდან უფრო გაფართოვდეს რაიონის მეურნეობებში მცირე მელიორაცია, რის შედეგად ორჯერ და მეტად გადიდდება მეცხოველეობის საკვები ბაზა, იმატებს ნათესი კულტურების მოსავლიანობა.

გ. გ ი ო რ გ ა ძ ე.

კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

„კომუნისტს“ უპასუხებენ

საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტი

„**კომუნისტში**“ გამოქვეყნებული წერილი „სპეციალისტების არითმეტიკა“ ეხებოდა ქუთაისის საკოლმეურნეო ბაზრის მუშაობას, აქ მოკალათებულ სპეკულანტთა თარეშს.

ამასთან დაკავშირებით პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. რუხაძემ გვაცნობა:

წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. არსებულ ნაკლოვანებებზე ჯერ კიდევ მიმდინარე წლის მარტში იმსჯელა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის ლენინის რაიკომის ბიურომ, რომელმაც განიხილა საკითხი „საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს 1978 წლის 8 სექტემბრის დადგენილების შესასრულებლად საკოლმეურნეო ბაზრების გაერთიანების პარტიულ-სამეურნეო ხელმძღვანელების მიერ შრომით კოლექტივში დისციპლინის განმტკიცებისათვის გაწეული მუშაობის შესახებ“.

ბიურომ არადამაკმაყოფილებლად მიიჩნია ორგანიზაციაში აღნიშნული დადგენილების შესასრულებლად პარტიულ-სამეურნეო ხელმძღვანელთა მიერ გაწეული მუშაობა და მკაცრი პარტიული შეფასება მისცა მას.

იმის გამო, რომ სუსტად ეწეოდნენ ორგანიზატორულ მუშაობას, არ ახორციელებდნენ სათანადო ღონისძიებებს დისციპლინის განსამტკიცებლად და ნეგატიური მოვლენების აღმოსაფხვრელად, საკოლმეურნეო ბაზრების გაერთიანების დირექტორი გ. ჩხეიძე განთავისუფლებულ იქნა თანამდებობიდან, ხოლო პარტიული ბიუროს მდივანს ა. მამაგეიშვილს და დირექტორის მოადგილეს ნ. გრიკოვს მკაცრი პარტიული სახჯელი დაედოთ.

მიმდინარე წლის 24 ივლისს საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე ასევე განიხილეს „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ წერილში აღნიშნული ფაქტების შემოწმების შედეგები, იმსჯელეს იმ სერიოზულ ნაკლოვანებებზე, რომლებსაც საკოლმეურნეო ბაზრების მუშაობაში ვხვდებით, და დასახეს მათი აღმოფხვრის კონკრეტული გზები.

საქართველოს კომპარტიის ქუთაისის ლენინისა და ავტოქარხნის რაიკომებმა და საქალაქო კომიტეტის შესაბამისმა განყოფილებამ სისტემატური კონტროლი დაუწესეს საკოლმეურნეო ბაზრების მუშაობას.

ს. ფ ო ტ ი ე ვ ი.

საქართველოს სსრ ფინანსთა საქმეთა სამინისტრო

ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი სათაურით — „მაინც არ იშლიან“, სადაც ლაპარაკი იყო ციტრუსების სპეკულანტებზე, მათ ხელშემწყობებზე.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე **ზ. ხაზალია** გვწერს:

ტამიშის სადგურში თბილისი-ხარკოვის № 944 მატარებლის ვაგონში 6.080 კილოგრამი ბაუფორმებული მანდარინის შეტანის ფაქტის გამო სოხუმის რკინიგზის სადგურის სახაზო მილიციის საგამომძიებლო ქვეგანყოფილებაში შარშან 10 დეკემბერს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

გამოძიების პროცესში ტვირთის პატრონები ვერ დაადგინეს, რის გამოც მემანქანეებს ო. ნიქაბაძესა და ა. ჭაკვეხიძეს დანაშაულში მონაწილეობა არ დაუდასტურდათ.

რაც შეეხება ვაგონის გამყოლ ბ. ბერძენიშვილს, იგი საქართველოს სსრ სსკ 98-ე მუხლის I ნაწილით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს და სოხუმის სახალხო სასამართლომ წლინახევრით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ტვირთის პატრონების დადგენის მიზნით გრძელდება ჩათანადო ოპერატიული ღონისძიებანი.

ს. ფ ო ტ ი ე ვ ი.

საქართველოს წითელი ჯვრის მფლობელთა

ლეგენდა და სინამდვილე

შენდებოდა

ზიფის გვირაბი

ამიერკავკასიის რკინიგზის პირველი უბნის — ფოთი-თბილისის ხაზზე მოძრაობა 1872 წელს გაიხსნა. სურამის უღელტეხილის გვირაბის მშენებლობა კი 14 წლის შემდეგ დაიწყო და საქმესლოგატაციოდ 1890 წელს გადაეცა. მას შემდეგ 90 წელი გავიდა.

როგორ ხორციელდებოდა სარკინიგზო მიმოსვლა თბილისსა და ფოთს შორის 18 წლის განმავლობაში?

ეს გზა სურამის ქედს თავდაპირველად ღია ხაზით კვეთდა. იგი ქედის დასავლეთ ფერდობით ადიოდა უღელტეხილის უმაღლეს წერტილზე ყოფილ სადგურ ფონამდე, აქედან კი აღმოსავლეთ ფერდობით ეშვებოდა სადგურ სურამში და შემდეგ ხაშურისაკენ მიემართებოდა.

ალანიშნავია, რომ გვირაბის წარმატებით აგება დამოკიდებული იყო მიმმართველი წოლხვრელის გაყვანის ხარისხზე, სურამის გვირაბის მიმმართველი წოლხვრელის გაყვანაც უღელტეხილის ორივე მხრიდან — აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან დაიწყო. მიმმართველი წოლხვრელის ღერძს, ჩვეულებრივ, თვეში ერთხელ ამოწმებდნენ, მაღალი წნევის ზონაში კი უფრო ხშირად. ამიტომ გეოდეზიური სამუშაოები დიდი სიზუსტით იყო შესრულებული. მიმმართველი წოლხვრელები, რომლებიც ზოგან 400 მეტრ სიღრმეზე გადიოდა, დანიშნულ ადგილას გათვალისწინებულზე ორი წლით ადრე, 1888 წლის 12 ოქტომბერს შეხვდა ერთმანეთს. უღელტეხილის მოპირდაპირე მხრიდან გაყვანილი მიმმართველი წოლხვრელის ღერძები ჰორიზონტალურ სიბრტყეში — 12,8 სანტიმეტრით, ხოლო ვერტიკალურში — 4,3 სანტიმეტრით აცდა ერთმანეთს, ამას არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არ ჰქონდა.

სურამის გვირაბის მშენებლობის დამთავრების სამახსოვროდ ნაგებობის დასავლეთ შესავალთან აღმართულია ობელისკი, რომელიც ლეგენდის მიზეზი გახდა. ხმა გავრცელდა, თითქოს უღელტეხილის ორივე მხრიდან გაყვანილი გვირაბის ნაწილები დანიშნულ ადგილსა და დროზე ვერ შეხვდა ერთმანეთსო. ინჟინერმა იფიქრა, გვირაბის აგებასას გამოუსწორებელი შეცდომა დაეშვიო და სასოწარკვეთილმა თავი მოიკლა.

ამ ყალბი ვერსიის ზოგიერთი მოამბე გულისტკივილით დასძენს, ინჟინერს თვითმკვლელობის ზუსტად ერთი საათის შემდეგ გვირაბის დასავლეთი და აღმოსავლეთი ნაწილები განსაცვიფრებელი სიზუსტით შეხვდაო ერთმანეთს, სინამდვილეში არც თავი მოუკლავს ვინმეს და არც საამისო მიზეზი ყოფილა. პირიქით, მშენებლებმა სიხარულით აღნიშნეს წოლხვრელთა შეხვედრის დიდი სიზუსტე, რაც მშენებლობის წარმატებით დამთავრების საწინდარი იყო. სურამის გვირაბის მშენებლობის უფროსი, ინჟინერი რ. რიდზევსკი და სხვა ინჟინერ-ტექნიკოსები პირადად ესწრებოდნენ გვირაბის წარმატებით დამთავრებისადმი მიძღვნილ ყველა ზეიმს. ეს აღნიშნულია სურამის უღელტეხილის შემოვლის ხაზის მეორე უბნის უფროსის ანგარიშში, რომელიც 1892 წელს გამოიცა თბილისში.

მშენებელთა უმრავლესობა და თვით მშენებლობის უფროსი, რომელიც ყალბმა ვერსიამ უღელტეხილის დასავლეთ ფერდობზე „დასაფლავა“, მრავალი წლის მანძილზე ნაყოფიერად მუშაობდნენ თბილისი-ყარსის და სხვა სარკინიგზო გვირაბების მშენებლობაზე. სურამის გვირაბის მშენებლობა სანიმუშო გახდა შემდგომში აგებული გვირაბებისათვის. გვირაბის კონსტრუქცია და მუშაობის მეთოდები ფართოდ გამოიყენეს თბილისი-ყარსის, ულუხანლ-ჯულფის, უსურიის და სხვა სარკინიგზო გვირაბების აგებისას.

ლეგენდას იმოდენა ძალა აღმოაჩნდა, რომ იგი ლიტერატურაშიც კი შეიჭრა. მაგალითად, ლევ გუმილევსკის წიგნში „რკინიგზა“ (1943 წ.) აღწერილი აქვს ეს ლეგენდა როგორც სინამდვილე. ამისათვის იგი მკაცრად გააკრიტიკეს. წიგნის მეორე გამოცემაში ავტორმა შეცდომა გამოასწორა. მთამომავლობამ სურამის გვირაბის მშენებლობის შესახებ სიმართლე უნდა იცოდეს.

ა. დ ა ნ დ უ რ ი შ ვ ი ლ ი,

ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

საქართველოს სსრ ფინანსთა საქმეთა სამინისტრო

გამარჯვებულებს ყველა უნდა იცნობდეს

ყურადღება! ამ კვირაში ყველაზე უკეთ იშრომა გოფრირებული ტარის საამქროს გ. დარასელიას ბრიგადამ. ხუთი დღის დავალება ბრიგადამ სამ დღეში შეასრულა და პარტიის XXVI ყრილობის შრომითი საჩუქრების ყუთებაში შეიტანა ხუთი ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. გმადლობთ, ამხანაგებო მამაცური შრომისათვის! ასე განაგრძეთ!“. ეს სიტყვები აინთო ენერგორის (ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის შესასვლელის თავზე დადგმულ ელექტრატაბლოზე. გახარებულ ბრიგადის მუშებს გულთბილად მიულოცავს ამხანაგებმა, სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეებმა.

ეს სიახლე მხოლოდ ერთ-ერთი საშუალებაა შეჯიბრების საჯაროობისა და მისი გამარჯვებულების მორალური წახალისების უზრუნველსაყოფად, — ეს ხრა საქინფორმის კორესპონდენტმა დარეკა საწარმოს პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარემ ა. შენგელაია, — შრომის მიხედვით პატივისცემა. მაგრამ არა მარტო პრემიის მანეთებით გამოხატული, არამედ ინფორმაციის ყველა მისაწვდომი საშუალებითაც. ჩვენ ასე მიგვაჩნია: სასახელოა შრომეს? — ეს ყველამ უნდა იცოდეს. ჩვენ შემოვიღეთ ა. ეთვი კომბინატის ექმლიმინაციო დროშის აღმართვა მეჭიდელეთა დაბის მთავარ მოედანზე. სამუშაოზე მიმავალთ შეუძლიათ დაფაზე ამოიკითხონ თუ ვინ „ყველაზე საუკეთესო.

(საქინფორმი).

მ ფ ვ ე რ ვ ა ლ ე ბ ი დ ა ნ

როცა სიტყვა ხვარაბიდან გამოდის...

მეკაზმე (მარტენის ღუმელში კაზმის ჩამტვირთველი), მეთხრილე (ბუშა, რომელიც ფოლადს ღუმელიდან სპეციალურ თხრილში უშვებს), გამგორი (ტვირთის მიმწოდებელი), გადმომტვირთავი (საბრძმედე საამქროს ვაგონეტის გადმომტვირთავი) ეს ცნებები და სიტყვები უკვე გაქრა ქართველი მეტალურგების ლექსიკიდან. ისინი შეცვალა ახალმა სიტყვებმა— ოპერატორი, მვალცავი, ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანის გამმართველი. ეს იმიტომ მოხდა, რომ მეტალურგებმა ყველა მძიმე ხელის შრომა მანქანებს დააკისრეს. ამით მათ შეასრულეს სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნა ხელის შრომატევადი პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის შესახებ, უწინარეს ყოვლისა, იმ უბნებზე, სადაც მუშების მნიშვნელოვანი ნაწილი ხელის შრომით არის დასაქმებული.

საქინფორმის კორესპონდენტმა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სამ მუშაკს სთხოვა ეამბნათ, რა ცვლილებები მოხდა წარმოებაში.

ი. კ ო ბ ლ ა ძ ა ზ ვ ი ლ ი — თერმისტების ბრიგადირი:

მეტალურგიულ წარმოებაში მუშაობა თხუთმეტი წლისამ დავიწყე. მას შემდეგ განუწყვეტლივ ვმუშაობ რუსეთის, უკრაინის მეტალურგიულ საწარმოებში, უკანასკნელი 30 წელი კი რუსთავში. თითქმის ბავშვი ვიყავი, როცა მემოქლონე გავხდი. ეს ძმიმე სამუშაო იყო. ახლა მოქლონვა მთლიანად შეცვალა შედუღება. შენადუღი შეერთება გაცილებით უფრო მტარვი და კომპაქტური. ლითონის მომჭირნეობასთან ერთად იგი ბევრად აჩქარებს საწარმოო პროცესს, ზოგავს დროს და მუშახელს.

ჩვენ ახლა ქარხნის გამომგონებელთა ნახაზების, მიხედვით საკუთარი ძალებით შექმნილ ავტომატურ მდაღარს ვიყენებთ.

ანდა, ავიღოთ საბრძმედე საამქრო, ორასი „გამგორის“ მომქანცველ შრომას ასრულებს მანქანა: ვაგონ-სასწორი. ბრძმედის ჩატვირთვის მთელი პროცესი ავტომატიზებულია. ბრძმედის ღუმელთან არც მეყალიბეა და აღც მეთუჯე. მახსოვს, მეყალიბეს უნდა მოესწრო რამდენიმე წუთში ქვაშაზე გადმოეღო სთოჯე ფორმები. ეს ძმიმე შრომა იყო, რადგან მუშაობა მუდამ დაღუნულ მდგომარეობაში უხდებოდა. შემდეგ, როცა ლითონი ცივდებოდა, მოდიოდნენ მეთუჯეები, უზარმაზარი ურიმის საშუალებით იღებდნენ ფორმებიდან თუჯის ზოთებს და პლატფორმაზე ყრიდნენ. ძმიმე ურიმის გარდა, საშინელი სიცხეც გასათვალისწინებელია. ცივი თუჯის საწყობში ლითონს გადმოტვირთავდნენ, ხოლო შემდეგ მას კვლავ რამდენიმე მტვირთავი ტვირთავდა.

ახლა მტვირთავებიც არ არიან აქ. ყველა ოპერაცია ავტომატებმა იკისრეს.

და ასეა ყველგან ქარხანაში. მანქანა გამოდევნის ხელის შრომას, აიოლებს ლითონის წარმოების პროცესს.

მეტალურგები ხომ თვალად განსაზღვრავდნენ, რომელი მარკის ფოლადი დნებოდა ღუმელში და როდის უნდა გამოეშვათ იგი. ახლა ზუსტი ხელსაწყოების მეშვეობით აგრეგატში მიმდინარე პროცესის ბევრი საიდუმლო ამოხსნილია. ისინი განსაზღვრავენ ტემპერატურას, წნევას, გაზისა და ჰაერის ხარჯვას და ა. შ.

დღეს მეტალურგმა უნდა იცოდეს მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, თბოტექნიკის, მექანიკის საფუძვლები... თანამედროვე მეტალურგიულ ქარხანას სჭირდება არა მარტო მუშები, არამედ მაღალი კვალიფიკაციის ოსტატი მეტალურგები, კონსტრუქტორი ინჟინერები, ავტომატიკისა და საკონტროლო-საზომი ხელსაწყოების მექანიკოსები, „გამოყენებითი მათემატიკის“ სპეციალობის მეცნიერი თანამშრომლები. ამ და სხვა პროფესიათა ადამიანების გარეშე დღეს ჩვენი ცხოვრება ძნელი წარმოსადგენია.

ა. ფ ო რ ე თ ი ლ ი — მთავარი ინჟინერის მოადგილე, ლენინური პრემიის ლაურეატი.

ლითონის წარმოება არც ახლაა თამაში, ადამიანს ჯერ კიდევ არ გამოუგონია ისეთი რამ, რომ მყუდრო, წყნარი კაბინეტიდან მართოს რთული მანქანების მუშაობა. წარმოება წარმოებად რჩება. მაგრამ ბევრი რამ, რაც ჯერ კიდევ ახლახან ფანტასტიკად გვეჩვენებოდა, უკვე დაინერგა ცხოვრებაში.

უკანასკნელ ხანს ჩვენი ქვეყნის შავმა მეტალურგიამ გიგანტური ნახტომი გააკეთა, და არა მარტო წარმოების მოცულობის მხრივ. საგლინავი და მილსაგლინავი საამქროების ავტომატიზაცია, ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმა, ჟანგბადკონვერტირული პროცესი სრულიად ახალი ფურცელია მეტალურგიაში.

საბჭოთა კავშირში და ევროპაში პირველად ჩვენს ქარხანაში კომპლექსურად ავტომატიზებულია დარგის უდიდესი მილსაგლინავი დგანი „400“, რამაც ათობით მუშა გაათავისუფლა სხვა სამუშაობისათვის, სახელმწიფოს მოუტანა მილიონობით მანეთი მოგება. ახლა მილმგლინავები პრაქტიკულად არ ეხებიან ლითონს. მართავენ პულტიდან, განსაზღვრავენ რეჟიმებს. ყველაფერი კეთდება საწარმოს ავტომატური ტერარნად გადაქცევისათვის.

ძველი, დრომოჭმული პროფესიები შეცვალა ახალმა, რომელიც ცვლიან ადამიანის შრომას. აკეთილშობილებენ, ალამაზებენ მას, ესენია ავტომატიზებული კომპლექსების დისპეტჩერები, მეკონტროლეებს, ელექტრონულ მანქანების ოპერატორების, კვანტრენტიკოსების პროფესიები.

პულტთან მდგომმა კაცმა უნდა იცოდეს და ესმოდეს პროცესი, რომელსაც მართავს. ამგვარად მუშის შრომა უთანაბრდება ინჟინრის შრომას, ქმნის ცოდნის გაფართოების შესაძლებლობას. სამართავ პულტთან მუშაობა ადამიანის ახლებური შრომითი საქმიანობაა, ეს ადამიანების და ავტომატების ერთობლივი მუშაობანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, თანამეგობრობაა. და, როგორც ყოველი თანამეგობრობა, იგი რაღაც მოთხოვნებს უყენებს მის მონაწილე ორივე მხარეს, რომლებიც ერთმანეთზე ზემოქმედებას ახდენენ. მანქანები და მექანიზმები ისეთი უნდა იყოს, რომ მათ მართავ ადამიანს არ გაუჭირდეს, ხოლო ადამიანებმა ისე უნდა მოაწყონ თავიანთი საწარმოო პროცესი, რომ ტექნიკის ზემოქმედებამ ზედმეტი ნერვული დატვირთვა არ გამოიწვიოს.

რუსთავის საპროექტო-საკონსტრუქტორო სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში „ავტომატმოწყობაში“ ახლა ქმნიან სამართავი პულტების ფსიქო-ფიზიოლოგიური თვალსაზრისით რაციონალურ მოწყობილობას, ცდილობენ უზრუნველყონ შენობათა კარგი ჰიგიენური პირობები. და ბოლოს, ინსტიტუტის მეცნიერები ფიქრობენ ოპტიმალურად გადაჭრან ახალი პროფესიის ადამიანების შრომის, დასვენებისა და კვების პრობლემები.

ა. ლ ო ბ ჟ ა ნ ი ძ ე — ქარხნის კომკავშირული კომიტეტის მდივანი.

რუსთავის ალმკავშირელებსა და ახალგაზრდებს შორის მოწყობილი სოციოლოგიური კვლევის ანკეტის კითხვაზე: „დარწმუნებული ხართ, რომ შეძლებთ ყველა გვარი სპეციალობის შეძენასა და შემდეგ კი ამ სპეციალობით სამუშაოს შოვნას?“ გამოკითხულთა 94,4 პროცენტმა უპასუხა: „დიახ“. ამგვარად, თითქმის მთელ გამოკითხულ ჯგუფს სწამს, რომ მათი ცხოვრების მთავარი მიზანი აუცილებლად განხორციელდება.

პროფესიის არჩევის თავისუფლებას, მიზანსწრაფულ, აღმზრდელობითს მუშაობას ქალაქშიც ბევრი ეზიარებიან. ეს ახსენებენ წარსულს, უფრო ნათლად ხედავენ აწმყოს, ქალაქშიც ეზიარებიან და ჭაბუკები იხსენებენ ომის სახელებსა და სამშეებს, ვინც სამამულო მეტალურგიის განვითარების სათავეებთან იდგა, ვინც მოგვანიჭა შრომის უფლება, ადამიანს დაეხმარა სრულად გამოვლინოს თავისი შესაძლებლობანი.

ფიგნის თარო

ორიგინალური ნაშრომი აქტუალურ თემაზე

ჩვენს დროში სოციალიზმისა და პროგრესის ძალების გაძლიერებისა და განმტკიცების პარალელურად, რაკი იმპერიალიზმისათვის შეუძლებელი გახდა მათთან ბრძოლა სამხედრო საშუალებებით, გაიზარდა ეგრეთ წოდებული „მოქნილი“ მეთოდების მნიშვნელობა და მასშტაბები, უპირველეს ყოვლისა, იდეოლოგიის სფეროში. ეს ბუნებრივიც არის, რადგან იმპერიალისტურმა რეაქციამ გადამწყვეტ წარმატებებს ვერ მიაღწია სამხედრო-პოლიტიკურ, დიპლომატიურ თუ ეკონომიკურ სფეროებში. იგი იძულებული გახდა გამალებით განავითაროს და გააძლიეროს იდეოლოგიური ექსპანსიის ეპარატი, რომელიც მიმართულია სოციალიზმის წინააღმდეგ.

ლ. ი. ბრეჟნევი თავის ერთ-ერთ ნაშრომში აღნიშნავს, რომ დასავლეთის ქვეყნებში მოქმედებს „გიგანტური პროპაგანდისტული მანქანა, რომელიც იდეოლოგიური ზემოქმედების ყველა თანამედროვე საშუალებებს იყენებს“.

იდეოლოგიური ბრძოლის საკითხებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობაში, რომლის მიზანია არც ერთი იდეოლოგიური დივერსია, შემოტევა არ დარჩეს უპასუხოდ. აღნიშნული მიმართულებით რეპუბლიკის ინტელექტუალურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენაა ნაშრომი, რომელიც გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ დასტამბა. ლაპარაკია ა. აბესაძის წიგნზე „სოციალიზმი და პიროვნების უფლებები“.

როგორც სათაურიდანვე ჩანს, ნაშრომი ეხება თანამედროვეობის ერთ-ერთ უაღრესად აქტუალურ თემას. მიუხედავად იმისა, რომ თავისთავად პიროვნების უფლებათა პრობლემა სიახლით არ გამოირჩევა, მას ახალი ანტისაბჭოური ყეღრადობა მისცა ჯერ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ, შემდეგ კი დასავლეთის მთელი ანტისოციალისტური იდეოლოგიის ერთ-ერთ მთავარ დებულებად იქცა. იდეოლოგიური ბრძოლის თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ ავტორი საკვლევ თემას სწორედ სოციალიზმის სინამდვილის ფონზე განიხილავს,

მეცნიერული კვლევის კლასიკური პრინციპების საფუძველზე განიხილავს რა პიროვნების უფლებების ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიულ ეტაპებს ექსპლოატატორულ საზოგადოებაში, ავტორი დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ ისტორიულად სამართლებრივ უფლებათა განვითარება მიმდინარეობს სახელმწიფოსა და პიროვნების მტრული დაპირისპირების თანდათანობითი დაძლევის გზით.

ავტორი ანალიზური შეჯერების მეთოდით განიხილავს შეერთებული შტატების 1776 წლის „დამოუკიდებლობის დეკლარაციას“, საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის ცნობილ დოკუმენტს, 1789 წლის „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციას“ და ბურჟუაზიული ეპოქის სხვა ანალოგიურ დოკუმენტებს. თხრობის ასეთი მეთოდი მკითხველის წინაშე რელიეფურად წარმოაჩენს ამ დოკუმენტთა ჩრდილოვან მხარეებს.

მეორე თავში განხილულია ნაშრომის საკვანძო საკითხი — სოციალისტური დემოკრატია და პიროვნების უფლებების განვითარება. ჩვენი აზრით, სწორად და გასაგებად არის ფორმულირებული მთავარი თემა: „სოციალიზმი ორიენტაციას იღებს არა ცალკეულ პირთა, არამედ მასების რეალურ უფლებებზე, ცხოვრებაში ახორციელებს ისეთ გარდაქმნებს, რაც ერთ კოლექტივად კრავს მშრომელებს, აახლოვებს მათ ერთმანეთთან, განამტკიცებს საზოგადოების ერთიანობას“.

შემდეგ ავტორი, როგორც მოსალოდნელი იყო, ვრცლად და საფუძვლიანად განიხილავს ჩვენს ახალ კონსტიტუციას, ადარებს მას ძველ კონსტიტუციებს და წინა პლანზე წამოწევს იმ სიახლეებს, რომლებიც სკვლევ თემას შეეხება. კერძოდ, აღნიშნულია, რომ ახალი კონსტიტუციის 58-ე მუხლის საფუძველზე მნიშვნელოვნად გაფართოვდა იმ დავების წრე, რომელთა დროსაც მოქალაქეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს, თუ თანამდებობის პირი უხეშად დაარღვევს მის უფლებებს.

საყურადღებოა, რომ მესამე თავი შეეხება მოქალაქეთა უფლებების რეალიზაციის ზოგიერთ საკითხს ჩვენს რესპუბლიკაში. აქ ცალკე პარაგრაფად არის გამოყოფილი პროტექციონიზმის, ბიუროკრატიზმისა და მექრთამეობის გავლენა პიროვნების უფლებების რეალიზაციაზე. პრინციპულად და მეცნიერული ობიექტურობით არის მხილებული ის დიდი საფრთხე, რომელსაც პიროვნების უფლებათა რეალიზაციას უქმნის პროტექციონიზმი, ბიუროკრატიზმი, და მექრთამეობა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ავტორი გაბედულად აკრიტიკებს თანამედროვე კანონმდებლობის ზოგიერთ მომენტს და ძალზე საინტერესო წინადადებებს გვთავაზობს.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომი დაწერილია გასაგები ენით და საინტერესოდ იკითხება. ამასთანავე, ჩვენი აზრით, ნაშრომი მოიგებდა, თუ ავტორი უფრო ფართო ჭრილში განიხილავდა საკვლევ პრობლემას საერთაშორისო მოვლენებთან დაკავშირებით. თუმცა ეს შენიშვნა ოდნავაც ვერ ჩრდილავს წიგნის უდავო ღირსებებს.

ედ. მენაბდე,
პროფესორი;
ს. ცინცაძე,
დოცენტი.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ:

მწერალი გიორგი აპოლონის ძე **სამხარაძე**, ხანგრძლივი და ნაყოფიერი ლიტერატურული და საზოგადო მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წლისთან დაკავშირებით.

მწერალი ივანე გიორგის ძე **ურჯუმელაშვილი**, ნაყოფიერი ლიტერატურული და საზოგადო მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოც წლისთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მსახიობი ვიქტორ ვიქტორის ძე **ნინიძე**, ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისა და ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების სამოც წლისთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მსახიობი ვიქტორ ვიქტორის ძე **ნინიძე**, ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისა და ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების სამოც წლისთან დაკავშირებით.

ოქტომბრის რევოლუციის ორდენოსანი **ალექსანდრე** ალექსანდრეს ძე **ბოლოტნიკოვ**, ხანგრძლივი და ნაყოფიერი საბჭოთა სამხედრო-პოლიტიკური, დიპლომატიური თუ ეკონომიკური სფეროებში. იგი იძულებული გამალებით განავითაროს და გააძლიეროს იდეოლოგიური ექსპანსიის ეპარატი, რომელიც მიმართულია სოციალიზმის წინააღმდეგ.

ლ. ი. ბრეჟნევი თავის ერთ-ერთ ნაშრომში აღნიშნავს, რომ დასავლეთის ქვეყნებში მოქმედებს „გიგანტური პროპაგანდისტული მანქანა, რომელიც იდეოლოგიური ზემოქმედების ყველა თანამედროვე საშუალებებს იყენებს“.

იდეოლოგიური ბრძოლის საკითხებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობაში, რომლის მიზანია არც ერთი იდეოლოგიური დივერსია, შემოტევა არ დარჩეს უპასუხოდ. აღნიშნული მიმართულებით რეპუბლიკის ინტელექტუალურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენაა ნაშრომი, რომელიც გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ დასტამბა. ლაპარაკია ა. აბესაძის წიგნზე „სოციალიზმი და პიროვნების უფლებები“.

როგორც სათაურიდანვე ჩანს, ნაშრომი ეხება თანამედროვეობის ერთ-ერთ უაღრესად აქტუალურ თემას. მიუხედავად იმისა, რომ თავისთავად პიროვნების უფლებათა პრობლემა სიახლით არ გამოირჩევა, მას ახალი ანტისაბჭოური ყეღრადობა მისცა ჯერ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ, შემდეგ კი დასავლეთის მთელი ანტისოციალისტური იდეოლოგიის ერთ-ერთ მთავარ დებულებად იქცა. იდეოლოგიური ბრძოლის თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ ავტორი საკვლევ თემას სწორედ სოციალიზმის სინამდვილის ფონზე განიხილავს,

მეცნიერული კვლევის კლასიკური პრინციპების საფუძველზე განიხილავს რა პიროვნების უფლებების ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიულ ეტაპებს ექსპლოატატორულ საზოგადოებაში, ავტორი დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ ისტორიულად სამართლებრივ უფლებათა განვითარება მიმდინარეობს სახელმწიფოსა და პიროვნების მტრული დაპირისპირების თანდათანობითი დაძლევის გზით.

ავტორი ანალიზური შეჯერების მეთოდით განიხილავს შეერთებული შტატების 1776 წლის „დამოუკიდებლობის დეკლარაციას“, საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის ცნობილ დოკუმენტს, 1789 წლის „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციას“ და ბურჟუაზიული ეპოქის სხვა ანალოგიურ დოკუმენტებს. თხრობის ასეთი მეთოდი მკითხველის წინაშე რელიეფურად წარმოაჩენს ამ დოკუმენტთა ჩრდილოვან მხარეებს.

მეორე თავში განხილულია ნაშრომის საკვანძო საკითხი — სოციალისტური დემოკრატია და პიროვნების უფლებების განვითარება. ჩვენი აზრით, სწორად და გასაგებად არის ფორმულირებული მთავარი თემა: „სოციალიზმი ორიენტაციას იღებს არა ცალკეულ პირთა, არამედ მასების რეალურ უფლებებზე, ცხოვრებაში ახორციელებს ისეთ გარდაქმნებს, რაც ერთ კოლექტივად კრავს მშრომელებს, აახლოვებს მათ ერთმანეთთან, განამტკიცებს საზოგადოების ერთიანობას“.

შემდეგ ავტორი, როგორც მოსალოდნელი იყო, ვრცლად და საფუძვლიანად განიხილავს ჩვენს ახალ კონსტიტუციას, ადარებს მას ძველ კონსტიტუციებს და წინა პლანზე წამოწევს იმ სიახლეებს, რომლებიც სკვლევ თემას შეეხება. კერძოდ, აღნიშნულია, რომ ახალი კონსტიტუციის 58-ე მუხლის საფუძველზე მნიშვნელოვნად გაფართოვდა იმ დავების წრე, რომელთა დროსაც მოქალაქეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს, თუ თანამდებობის პირი უხეშად დაარღვევს მის უფლებებს.

საყურადღებოა, რომ მესამე თავი შეეხება მოქალაქეთა უფლებების რეალიზაციის ზოგიერთ საკითხს ჩვენს რესპუბლიკაში. აქ ცალკე პარაგრაფად არის გამოყოფილი პროტექციონიზმის, ბიუროკრატიზმისა და მექრთამეობის გავლენა პიროვნების უფლებების რეალიზაციაზე. პრინციპულად და მეცნიერული ობიექტურობით არის მხილებული ის დიდი საფრთხე, რომელსაც პიროვნების უფლებათა რეალიზაციას უქმნის პროტექციონიზმი, ბიუროკრატიზმი, და მექრთამეობა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ავტორი გაბედულად აკრიტიკებს თანამედროვე კანონმდებლობის ზოგიერთ მომენტს და ძალზე საინტერესო წინადადებებს გვთავაზობს.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომი დაწერილია გასაგები ენით და საინტერესოდ იკითხება. ამასთანავე, ჩვენი აზრით, ნაშრომი მოიგებდა, თუ ავტორი უფრო ფართო ჭრილში განიხილავდა საკვლევ პრობლემას საერთაშორისო მოვლენებთან დაკავშირებით. თუმცა ეს შენიშვნა ოდნავაც ვერ ჩრდილავს წიგნის უდავო ღირსებებს.

ედ. მენაბდე,
პროფესორი;
ს. ცინცაძე,
დოცენტი.

საერთაშორისო ცხოვრება

ტელეფოტო ჩანაწერის ფურცლიდან

ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

ჰანოი, 15 აგვისტო. ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა გადაწერით დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენებაში მოცემული ცილისმწამებლური მონაჭორი, თითქოს ვიეტნამი მომწამულელ ქიმიურ ნივთიერებებს იყენებდეს ლაოსისა და კამბუჩიის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ.

ამ პროვოკაციული აქციის მიზანია, აღნიშნა მან, ცილი დასწამონ ვიეტნამს, შეცდომაში შეიყვანოს მსოფლიო საზოგადოებრიობა, შეარყიოს ნდობა სოციალისტური ქვეყნებისადმი.

ამერიკელი იმპერიალისტები აქტიურად ადგანან ხალხთა დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისათვის ძირის გამოთხრის კურსს და კვლავაც ამძაფრებენ დაძაბულობის აზიისა და მთელ მსოფლიოში. ისინი ცდილობენ ხელი შეუშალონ ხალხთა თავისუფალ, დამოუკიდებელ განვითარებას და განაგრძობენ „ჩინური კოზირის“ გათამაშებას.

ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა მოითხოვა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაუყოვნებლივ შეწყვიტოს მტრული მოქმედება ვიეტნამის, ლაოსისა და კამბუჩიის წინააღმდეგ. იმპერიალისტური წრეების პროვოკაციული მონაჭორები, ხაზი გაუსვა მან, ხელს უშლის სახელმწიფოთა ურთიერთობის ნორმალიზაციას, აძლიერებს დაძაბულობას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

ნიუ-იორკი. ახალ წარმატებებს მიაღწიეს ამერიკელმა კომუნისტებმა შეერთებულ შტატებში წლევანდელი საარჩევნო კამპანიის დროს. პრეზიდენტისა და ვიცეპრეზიდენტის პოსტებზე მათმა კანდიდატებმა — ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის გენერალურმა მდივანმა გ. ჰოლმა და თვალსაჩინო საზოგადო და პოლიტიკურმა მოღვაწემ ა. დეივსმა — შეძლეს კოლუმბიის ფედერალურ ოლქში შეეგროვებინათ 8 ათასზე მეტი ხელმოწერა პეტიციაზე, რომელიც მათ უფლებას აძლევს თავიანთი სახელები შეტანონონ კენჭისყრის სიებში. ოლქის კანონების თანახმად გ. ჰოლსა და ა. დეივსის უნდა შეეგროვებინათ 2.500 ხელმოწერა. ინდიანის შტატში კომუნისტებმა შეაგროვეს 13.500-ზე მეტი ხელმოწერა — თითქმის ერთიორად მეტი ვიდრე საჭიროა პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად.

ამერიკის შეერთებულ შტატების კომპარტიის ახალნდელი საარჩევნო კამპანია მიმდინარეობს რთულ და ძნელ პირობებში. ხელისუფალნი არაფერს არ თაკილობენ, ოღონდ ყოველნაირად შეზღუდონ კომუნისტთა მზარდი გავლენა, წაართვან მათ კანდიდატებს არჩევნებში კენჭისყრის შესაძლებლობა.

არკანზასის შტატში დემოკრატიული საზოგადოებრიობის ზემოქმედებით ხელისუფალნი იძულებული იყვნენ 1936 წლიდან პირველად ეცნოთ არჩევნებში გ. ჰოლისა და ა. დეივსის მონაწილეობის უფლება.

ამერიკელ კომუნისტთა წარმატებანი

ომის ფსიქოზი

ხელოვნურად გაღვივებული სამხედრო ფსიქოზის ვითარებაში ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია აააქტიურებს მუშაობას უახლესი ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის შესაქმნელად.

როგორც წერს ჟურნალი „ი. ს. ნიუს ენდ უორლდ რიპორტი“, ბიოლოგიური ომისათვის მნიშვნელოვანი სახსრებია გამოყოფილი. აქედან 100 მილიონი დოლარი მოხმარდება სხვადასხვა აღმოჩენილობის დაკვლევას, ხოლო 85 მილიონი დოლარი „სამეცნიერო კვლევას“.

სურათზე: მერილენდის შტატში ერთ-ერთ სამხედრო აეროდრომზე ქიმიური მომწამლავი ნივთიერებების ტვირთავენ.

ასოშიეიტედ პრეს-საქდენის ფოტო.

ახალ ავანტიურას ამზადებენ

თეირანი, 15 აგვისტო. ამერიკის შეერთებული შტატები ახალ სამხედრო ავანტურას ამზადებენ ირანის „ფენიქსად“ დეგ; იუწყება ახვაზის რადიო (ხუზესტანის პროვინცია). ვაშინგტონმა, ნათქვამი ცნობაში, ეგვიპტის ტერიტორიაზე თავი მოუყარა 30 ათასამდე დაქირავებულ ჯარისკაცს, რომლებიც ემზადებიან ირანში შესაჭრელად ხუზისტანიდან.

როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, იმპერიალისტური წრეები და პროშაპული ელემენტები უკვე არაერთხელ ცდილან დაემხოთ ირანში არსებული რეჟიმი და ხელისუფლების სათავეში დაეყენებინათ პროამერიკული მთავრობა. წელს აპრილში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სცადა განეხორციელებინა შეიარაღებული შეჭრა ირანის ტერიტორიაზე ქალაქ თებესის რაიონში, რაც სამარცხვინო მარცხით დამთავრდა. ბოლო თვეებში ირანში გამოაშკარავდა რამდენიმე ანტისახელმწიფოებრივი შეთქმულება, რომელთაგან ყველაზე სამში იყო ინდოლისის სახელმწიფო გადატრიალების ცდა.

* * *

ვაშინგტონი, 15 აგვისტო. სახელმწიფოთა დეპარტამენტის წარმომადგენელი პრესკონფერენციაზე ცდილობდა გაებათილებინა ის, რომ ეგვიპტის ტერიტორიაზე ირანში შეჭრისათვის დაქირავებული ჯარისკაცების რაზმების მზადებაში ამერიკის შეერთებული შტატების ხელიც ერია. მაგრამ მან ვერ დაასაბუთა თავისი უსაფუძვლო „მტკიცებანი“.

ბოლივიის ამბები

ლიმა, 15 აგვისტო. ბოლივიის მხედრობისა მიერ გაჩაღებული ტერორის ფართო კამპანიის ნაწილი გახდა ჟურნალისტთა დევნა. იმის შესახებ, თუ როგორ ეპყრობიან მეამბოხენი იმათ, ვინც ბედავს და სამართლეს ამბობს ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე ილაპარაკა ამერიკელმა ჟურნალისტმა მერი სპენერმა, რომელმაც ძლივს დაალწია ხელი ხუნტის დევნას და ბოლივიიდან ჩამოვიდა. იგი მთელ კვირას ამყოფეს საპყრობილეში მხოლოდ იმის გამო, რომ მისი სტატია, რომელიც ლაპასიდან გადმოიცა, „არ მოეწონათ“ ხუნტის მეთაურებს, „ტენდენციურიაო“. სტატიაში აღნიშნული იყო, რომ ბოლივიის მბრძანებელთაგან ზოგიერთი მონაწილეობს ნარკოტიკების კონტრაბანდულ ვაჭრობაში, რომელსაც მილიონიანი მოგება მოაქვს. იმათ შორის, ვინც მას სიკვდილით ემუქრებოდა, იყო ხუნტის შინაგან საქმეთა მინისტრი პოლკოვნიკი არსე—გაწაფული მწამებელი, კონსტიტუციური მთავრობის დამხობის წინ მოწყობილი ტერორისტული აქციების ორგანიზატორი. ბოლივიაში ამბობენ, რომ იგი ერთ-ერთი მთავარი თვალურადგი მბრძანებელია ბოლივიის მხედრობის

სავანე ათონზე

როგორც მკითხველებმა უკვე იციან, წელს სრულდება საბერძნეთში ათონის ივერთა მონასტრის დაარსების 1000 წელი (980-983 წლები).

ამ ღირსსახსოვარ თარიღთან დაკავშირებით ვბეჭდავთ წერილს, რომელშიც მოთხრობილია შუა საუკუნეების ამ უდიდესი სამეცნიერო-საგანმანათლებლო კერის ფრიად დიდი წვლილის შესახებ ქართველი ერის კულტურის ისტორიაში.



ქართული კულტურა ინტენსიურად ვითარდებოდა როგორც საკუთრივ საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. ქართველმა მოღვაწეებმა ნაყოფიერი კულტურულ-აღმშენებლობითი და მწიგნობრულ-საგანმანათლებლო საქმიანობა გაიჩაღეს სამშობლოში, სირია-პალესტინაში, რუსეთში, ქართველთა სამოღვაწეო-პუნქტებში — ჩვენში თუ უცხოეთში — იქმნებოდა ხელოთმოძღვრებისა და ფერწერის დიდებული ნიმუშები, ჩქეფდა ლიტერატურული ცხოვრება, იწერებოდა ორიგინალური თხზულებანი, ითარგმნებოდა უცხოური ძეგლები, მრავლდებოდა ხელნაწერები, მდიდრდებოდა ეროვნული კულტურის საგანძური.

ძველი ქართული კულტურის საზღვარგარეთული კერების მნიშვნელობა საკმაოდ ცნობილი და აღიარებულია. „ქართველთა ხარჯით და ფულით აშენებული არა ერთი და ორი (სავანე) დღესაც ჰღაღადებს ათონის მთაზედ, სინაზედ, სირიაში იერუსალიმის ახლო-მახლო, რომ ქართველთა თავგამომეტებით და დიდის მხნეობით ულეაწნიათ თავისი ქვეყნის გარეთაც“ (ი. ჯავახიშვილი წერდა: „საზღვარგარეთ მყოფ ქართველთა სავანეების კულტურული მნიშვნელობა ფრიად დიდი იყო, იმ დიდი კულტურული მემკვიდრეობის გარდა, რომელიც საქართველოს წარსული საუკუნეების განმავლობაში დაუნჯებული ჰქონდა, უცხოეთში მყოფი მონასტრების წყალობით საქართველოს შეეძლო მაშინდელი განათლებული ქვეყნების კულტურული განვითარების ყოველი წარმატებისთვისაც თვალყური ედევნებინა. ყველაფერი, რაც კი იქ ახალი და მნიშვნელოვანი იწერებოდა, ანდა კეთდებოდა, უცხოეთში დაარსებულს ქართველთა სავანეებში მომუშავე ქართველი მოღვაწეების, მწერლების, მეცნიერებისა და ხელოსანთა წყალობით საქართველოსაც საშუალება ჰქონდა სცოდნოდა: საუკეთესო თხზულებანი ან ითარგმნებოდა, ანდა გადმოქართულებული იყო ხოლმე“.

ამ სიტყვებში ისე ამომწურავად არის დახასიათებული და წარმოჩენილი ქართული საზღვარგარეთული კერების მნიშვნელობა და როლი ეროვნული კულტურის განვითარებაში, რომ ძნელია რამე დავუმატოთ. მართლაც, ამ კერების მეშვეობით ქართველობა თვალს ადევნებდა განათლებული წრეების საქმიანობას, ეცნობოდა მათ წარმატებას, ითვისებდა და თარგმნიდა ყოველივე კარგსა და საყურადღებოს, ქმნიდა წინამძღვრებს ეროვნული ლიტერატურის შემდგომი ზრდა-განვითარებისათვის.

ქართველებს ადრეული ხანიდანვე ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდათ ახლო აღმოსავლეთთან, პალესტინისა და სირიის ბევრი უდაბნო ქართველ მოღვაწეთა საიმედო თავშესაფარად იქცა. ჩვენმა წინაპრებმა უკვე IV-V საუკუნეებში მიაშურეს ამ ქვეყნების სავანეებს.

ეგვიპტეში უკვე IV საუკუნეში მოღვაწეობდა გამოჩენილი ქართველი მოაზროვნე ევაგრე პონტელი, ხოლო V საუკუნეში იქაური უდაბნოში ქართული ბაზილიკაც აშენდა.

კიდევ უფრო მრავლად ჩანან ქართველები პალესტინაში (იერუსალიმსა და მის ახლოს არსებულ სავანეებში), სინას მთაზე, შავ მთაზე, (სირიაში).

საუკუნეთა მანძილზე ახლო აღმოსავლეთი ქრისტიანული მწერლობის მძლავრი ცენტრი და გამოჩენილ მწიგნობართა სამოღვაწეო ასპარეზი იყო, იერუსალიმი, საბაწმიდა, პალავრა, სინა, ანტიოქია, შავი მთა ამ მწერლობის სახელგანთქმული ცენტრებია. ქართველი მოღვაწეები, იჩენდნენრა დიდ ინტერესს ქრისტიანული მწერლობისადმი, განსაკუთრებით ეფანებოდნენ ამ მწერლობის ცენტრებს; მათ ჯერ სხვათა სადგომებს მიაშურეს, ხოლო შემდეგ ქართული კოლონიები დააარსეს, საკუთარი სავანეები შექმნეს და კულტურულ საგანმანათლებლო მუშაობაც გააჩაღეს.

თუ ადრე ქართველები ახლო აღმოსავლეთისაკენ ისწრაფოდნენ და ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ იქაურ ასკეტურსა და სამწერლო ასპარეზზე, IX საუკუნიდან მათ დასავლეთისკენ აიღეს გეზი და თანდათან დაიწყეს ბიზანტიის სამონასტრო კოლონიზაცია, რაც პირდაპირი შედეგი იყო საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის გაძლიერებისა. დროთა განმავლობაში ქართველ მოღვაწეთა თვალს ჰქონდათ ახლო აღმოსავლეთთან, პალესტინისა და სირიის ბევრი უდაბნო ქართველ მოღვაწეთა საიმედო თავშესაფარად იქცა. ჩვენმა წინაპრებმა უკვე IV-V საუკუნეებში მიაშურეს ამ ქვეყნების სავანეებს.

ეგვიპტეში უკვე IV საუკუნეში მოღვაწეობდა გამოჩენილი ქართველი მოაზროვნე ევაგრე პონტელი, ხოლო V საუკუნეში იქაური უდაბნოში ქართული ბაზილიკაც აშენდა.

კიდევ უფრო მრავლად ჩანან ქართველები პალესტინაში (იერუსალიმსა და მის ახლოს არსებულ სავანეებში), სინას მთაზე, შავ მთაზე, (სირიაში).

საუკუნეთა მანძილზე ახლო აღმოსავლეთი ქრისტიანული მწერლობის მძლავრი ცენტრი და გამოჩენილ მწიგნობართა სამოღვაწეო ასპარეზი იყო, იერუსალიმი, საბაწმიდა, პალავრა, სინა, ანტიოქია, შავი მთა ამ მწერლობის სახელგანთქმული ცენტრებია. ქართველი მოღვაწეები, იჩენდნენრა დიდ ინტერესს ქრისტიანული მწერლობისადმი, განსაკუთრებით ეფანებოდნენ ამ მწერლობის ცენტრებს; მათ ჯერ სხვათა სადგომებს მიაშურეს, ხოლო შემდეგ ქართული კოლონიები დააარსეს, საკუთარი სავანეები შექმნეს და კულტურულ საგანმანათლებლო მუშაობაც გააჩაღეს.

თუ ადრე ქართველები ახლო აღმოსავლეთისაკენ ისწრაფოდნენ და ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ იქაურ ასკეტურსა და სამწერლო ასპარეზზე, IX საუკუნიდან მათ დასავლეთისკენ აიღეს გეზი და თანდათან დაიწყეს ბიზანტიის სამონასტრო კოლონიზაცია, რაც პირდაპირი შედეგი იყო საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის გაძლიერებისა. დროთა განმავლობაში ქართველ მოღვაწეთა დასახლებამ ბიზანტიაში ფართო ხასიათი მიიღო და ქართულ-ბიზანტიური სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის გაცხოველების შედეგად სულ უფრო შესამჩნევი გახდა, ამასთანავე, ბიზანტია იქცა ქრისტიანული სამყაროს აღიარებულ ცენტრად, კონსტანტინოპოლმა დიდად გაუსწრო მაჰმადიანთა მფლობელობაში მყოფ იერუსალიმს, ბიზანტიურმა ლიტერატურამ მსოფლიო სახელი და ავტორიტეტი მოიპოვა.

ყოველივე ამას ხედავდნენ, ამჩნევდნენ და სწორად აფასებდნენ ქართველები. ბიზანტია, ვითარცა ქრისტიანობის ბურჯი და მწიგნობრობის ცენტრი, ანდამატურად იზიდავდა ქართველ მოღვაწეებს, რომლებმაც აუცილებლად მიიჩნიეს ბიზანტიური კულტურის საფუძვლიანი გაცნობა, გულდასმით შესწავლა, შემოქმედებითი ათვისება, ქართულ სინამდვილეში გადმონერგვა; მათ საჭიროდ მიიჩნიეს ბიზანტიის კულტურულ-საგანმანათლებლო კერებში (თუ მათ ახლოს) დასახლება, რათა იქიდან კარგად ედევნებინათ თვალი ბიზანტიელთა შემოქმედებითი მუშაობისათვის და ნიადაგ ყოფილიყვნენ საქმის კურსში, რათა შეძლებოდათ ყოველგვარი სიახლის დროულად გაცნობა-ათვისება. ამიტომაც IX-XI საუკუნეებში ბიზანტიის სხვადასხვა პუნქტში (ოლიმპზე, ათონზე, პეტრიწონში და სხვ.) საფუძველი ჩაეყარა ქართული კულტურის ცენტრებს, ზოგან ჩამოყალიბდა ქართული ლიტერატურული სკოლები, რომლებიც თავისებურად მიუდგნენ ბიზანტიური კულტურის ათვისების საკითხს. თავისებური მიდგომა კი აუცილებელი იყო, რადგან ბიზანტიელებს პირველობის პრეტენზია ჰქონდათ, მათი ქედმაღლობა ყოველგვარ საზღვარს სცილდებოდა. ქართველებს ესმოდათ, რომ საჭირო იყო ბიზანტიური კულტურის ათვისება, მაგრამ არა მონური ქედმოხრა და ბრმა მორჩილება, არამედ შემოქმედებითი მიდგომა — თავის შეკავება წამლეკავი გავლენისაგან, მექანიკური გამეორებისგან, და თავისთავადი სახის შენარჩუნება.

ბიზანტიაში ქართველთა მომრავლებას და ქართული კოლონიების დაარსებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი კულტურის ისტორიისათვის. კონსტანტინოპოლის, ათონის, პეტრიწონისა თუ სხვა სავანეთა ქართველობას ახლო კავშირი ჰქონდა ბიზანტიური კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებთან, მას მიეცა შესაძლებლობა ქართული ლიტერატურა გაემდიდრებინა ახალი ორიგინალური შრომებითა თუ ბერძნულიდან თარგმნილი წიგნებით და ეროვნული მწერლობა აემაღლებინა ზოგადქრისტიანული ლიტერატურის დონემდე.

დასავლეთში აღმოცენებულმა ქართულმა კოლონიებმა ღირსეულად გაართვეს თავი რთული ამოცანას; მათ მიერ შექმნილ კულტურულ-ლიტერატურულ მემკვიდრეობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული მწიგნობრობის ზრდა-განვითარებისათვის. ამასთანავე, დასავლეთში მოღვაწე ქართველმა მწერლებმა გარკვეული წვლილი შეიტანეს საკუთრივ ბიზანტიური ლიტერატურის განვითარებაშიც.

ძველი ქართული კულტურის საზღვარგარეთული კერათა შორის ეროვნული მწერლობის განვითარებისათვის ყველაზე მეტი მნიშვნელობა ჰქონდა ათონის სავანეს. იგი მდებარეობს ათონის მთაზე, ქალკედონის ნახევარკუნძულზე (საბერძნეთში).

სამონასტრო მშენებლობა ამ მთაზე საკმაოდ გაიშალა და არაერთმა ხალხმა გაიჩინა იქ საკუთარი სათვისტომო. მას შემდეგ, რაც საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობა გაცხოველდა და ქართველები მომრავლდნენ ბიზანტიის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურსა თუ საეკლესიო-სამონასტრო ასპარეზზე, ბუნებრივი იქნებოდა მათ ათონზეც დაედოთ ბინა. მართლაც, ქართველმა მოღვაწეებმა ჯერ ბერძენთა სადგომს შეაფარეს თავი, ხოლო შემდეგ — 980-983 წლებში დიდი ტაძარი ააგეს და ათონის ეკლესიათა მონასტერიც გააშენეს. ამ საქმეში თავი გამოიჩინეს ცნობილმა ქართველმა დიდებულმა იოანემ, — რომელმაც წამოიწყო მშენებლობა, და სახელგანთქმულმა სარდალმა თორნიკემ, რომელმაც ქართველთა მხედრობით დიდი დახმარება გაუწია ბიზანტიის იმპერატორს ბასილს — დაამარცხა აჯანყებული სარდლის ბარდა სკლიროსის ლაშქარი, მოიპოვა სასახელო გამარჯვება (979 წ). და ხელთ იგდო დიდძალი დავლა, რომელიც მიიტანა ათონის მთაზე და შექმნა რეალური მატერიალური შესაძლებლობა მონასტრის მშენებლობის წამოწყებისათვის.

ათონის ივერთა მონასტერს თავდაპირველად იოანე ხელმძღვანელობდა. მან ენერგიულად იწყო ზრუნვა ქართული სავანის განმტკიცებისა-გაძლიერებისათვის; შეიძინა მამულები, მონასტერი უზრუნველყო შემოსავლით, თანამემამულენი ჩაება როგორც საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრებაში, ისე სამეურნეო საქმიანობაში და ა. შ.

იოანეს გარდაცვალების შემდეგ, 14 წლის განმავლობაში, — ქართველთა სავანეს მისი ვაჟი ექვთიმე ათონელი (955-1028) უძღვებოდა. ისიც მრავალმხრივ საქმიანობას ეწეოდა. ძველი საბუთების გამოყენებითა და ხელისუფალთა მხარდაჭერით განამტკიცებდა მონასტრის ძლიერებას და აუმჯობესებდა მის მატერიალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ყიდულობდა მამულებს და ზრუნავდა მათი შეუვალობისა და გადასახადებისაგან განთავისუფლებისათვის, გულმოდგინედ იღვწოდა მოწესეთა შორის კეთილგანწყობილებისა და კარგი ურთიერთობის დამკვიდრებისათვის, მონაწილეობდა ათონის მთის ბინადართა საადგილმამულო დავის მშვიდობიან გადაჭრაში და სხვ. მიუხედავად ამისა, ექვთიმე ათონელს ღრმამეცნიერსაც მოღვაწეობდა მთავარი და არსებითი ლიტერატურულ-შემოქმედებითი საქმიანობა იყო. სწორედ მისი თაოსნობით იქცა ათონის სავანე არა მხოლოდ დასავლეთში მყოფ ქართველთა ძირითად საეკლესიო-სამონასტრო ცენტრად, არამედ საერთოდ ქართული კულტურის მძლავრ კერადაც.

მართალია, მწიგნობრული ინტერესი ათონს ქართველთა სავანეში ადრევე შეიინიშნებოდა. ცნობილია მონასტრის პირველ მოღვაწეთა — იოანესა და თორნიკეს თაოსნობით დამზადებული წიგნები, მაგრამ იქ გაჩაღებული კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის სულისჩამდგმელი, იქაური ლიტერატურული სკოლის ფუძემდებელი და მამამთავარი იყო ექვთიმე ათონელი. არ დარჩენილა ქართული საეკლესიო-სასულიერო მწერლობის არც ერთი დარგი, რომ მის განვითარებაგამდიდრებაში ექვთიმეს აქტიური მონაწილეობა არ მიეღო. (იგი წერდა ორიგინალურ თხზულებებს ქართულად და ბერძნულად, აწარმოებდა ორმხრივ მთარგმნელობითს მუშაობას. საკმარისია მოვიხსენიოთ ცნობილი აგიოგრაფიულ-მორალური და ასკეტიკურ-დოგმატიკური თხზულება, შუა საუკუნეებში ფართოდ გავრცელებული სულთმამგებელი რომანი „სიბრძნე ბაპლავარისა“, რომელიც მან ქართულიდან თარგმნა ბერძნული ენაზე (მალე გაჩნდა ლათინური თარგმანი, ხოლო შემდეგ ითარგმნა მრავალ ევროპულ ენაზე).

ექვთიმე ათონელმა თავის მთავარ მიზნად ქართულ-ბიზანტიური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის გაძლიერება და ქართული მწერლობის ბერძნული ენიდან თარგმნილი თხზულებებით გამდიდრება დაისახა. იგი ხელმძღვანელობდა საგანგებოდ შემუშავებული მთარგმნელობითი პრინციპებით, გულდასმით არჩევდა სათარგმნელ მასალას, ითვალისწინებდა ქართველ მკითხველთა მომზადების დონესა და მოთხოვნილებას, საჭიროებისდა მიხედვით ცვლიდა ტექსტს და იძლეოდა განსხვავებულ რედაქციას.

ექვთიმეს წამოწყებული საქმიანობა განაგრძო, განავრცო და გაარმაცა მეორე დიდმა ათონელმა მოღვაწემ გიორგიმ (1009-1065). მან თავისი შემოქმედებითი მუშაობით, ნაყოფიერი მთარგმნელობითი საქმიანობითა და პრაქტიკული მოღვაწეობით დიდი წვლილი შეიტანა ქართული სულიერი კულტურის საგანძურში, იგი თავგამოდებით იბრძოდა ქართველთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ძლიერებისა და სარწმუნოებრივი სიწმინდისათვის, მშობლიური მწიგნობრობის ზრდა-განვითარებისა და კულტურის დონის ამაღლებისათვის.

გიორგი ათონელის ცხოვრებამოღვაწეობის პერიოდში ათონის ქართულ სავანეში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა კვლავ ინტენსიურად გრძელდებოდა. გიორგი, — ვითარცა მეცნიერულ-ლიტერატურული საქმიანობის მეთაური და მთელი ინტელექტუალური ცხოვრების ხელმძღვანელი, — თავისი პიროდი მაგალითით — თავდადებული შრომითა და შემოქმედებითი წვით, — სტიმულს აძლევდა თანამოღვაწეთ და მუშაობისათვის მოუწოდებდა. ნათქვამის საილუსტრაციოდ საკმარისია მოვიხსენიოთ გიორგი ათონელის მოწაფე და თანამოღვაწე გიორგი მცირე (XI ს.).

შემდეგ ხანაში ათონზე ქართველთა შემოქმედებითი მუშაობა თანდათან შესუსტდა, იქაური მოღვაწენი მეტწილად ხელნაწერების დამზადებით კმაყოფილდებოდნენ და ახალი ნუსხებით ამდიდრებდნენ იმ წიგნსაცავს, რომელიც დღესაც ათონის სავანის უდიდესი საგანძურია.

ათონის ქართველთა მონასტერში შემოქმედებითი ცეცხლის განელება და ბოლოს ჩაქრობა შემთხვევითი არ ყოფილა; ეს ბუნებრივი შედეგი იყო იმ დევნა-შევიწროებისა, რომელსაც ჩვენი წინაპრები განიცდიდნენ ათონზე ჯერ კიდევ XI საუკუნიდან. დროთა განმავლობაში მდგომარეობა თანდათან გართულდა, ბერძენთა მტაცებლური ტენდენცია სულ უფრო შესამჩნევი გახდა, ქართველთა რიცხვმა, განსაკუთრებით XIII საუკუნიდან, როდესაც საქართველოს პოლიტიკური ძლიერება დაეცა, საგრძნობლად იკლო. მომრავლებული ბერძნები აქტიურად ამოქმედდნენ, მთავარი ტაძარისათვის ბრძოლამ კულმინაციას მიაღწია. მოძალადეებმა მიიმბრეს არა მარტო ათონის მონასტრების საბჭოს თავკაცები, არამედ კონსტანტინოპოლის პატრიარქი კალისტეც (1350-1363), რომელმაც. დაამაყოფილა ბერძენთა პრეტენზიები და საქმე მათ სასარგებლოდ გადაწყვიტა. მან ქართველთა უფლებები უგულებელყო, დაშსახურება და ღვაწლი დაივიწყა. ჩამოართვა მათ მთავარი საკრებულო ტაძარი, აუკრძალა მონასტერში პასუხსაგებ თანამდებობათა დაკავება და საბოლოოდ მოღვაწეოდ პატარა ეკლესია მიუჩინა.

ბერძენთა მიერ ქართული მონასტრის ხელში ჩაგდება ერთბაშად არ მოხდარა და კალისტეს გადაწყვეტილებით არ დაგვარგვიხებულა. მართალია, იქ ბერძნები სჭარბობდნენ, მაგრამ ფაქტიურად იგი მაინც საქართველოს კუთვნილებად იგულისხმებოდა და ნომინალურად ასეც ითვლებოდა. წინააღმდეგ კალისტეს გადაწყვეტილებისა, ქართველები გვიან ხანაშიც ჩანან მონასტრის წინამძღვრებად. ქართველთადმი მონასტრის კუთვნილებით აიხსნება ისიც, რომ გაჭირვების დროს იქაური ქართველები თანამემამულეებს მომართავდნენ და ეხეიც შეძლებისდაგვარად მფარველობდნენ და ეხმარებოდნენ. არც ის არის ინტერესს მოკლებული, რომ გვიანი ხანის ქართველი მოღვაწენი ივერთა სავანეს „ჩუენ მონასტრად“ იხსენიებენ. ასე რომ, კალისტეს ტენდენციურმა გადაწყვეტილებამ ბერძნებს საბოლოო გამარჯვება ვერ მოუტანა და ქართველებს თავიანთი სავანეზე ხელი ვერ აიღებინა, მაგრამ მოგვიანოდ ბერძნებმა მაინც აისრულეს საწადელი, თანდათან დამკვიდრდნენ ივერთა მონასტერში და ქართველებს წაართვეს იქ შემოქმედებითი მუშაობის შესაძლებლობა.

XIX საუკუნის დამდეგიდან ქართველთა მდგომარეობა ათონზე განსაკუთრებით გართულდა. მას შემდეგ, რაც ივერთა მონასტერმა დაკარგა მფარველი ქართველთა სამეფოს სახით, ხოლო ქართულმა ეკლესიამ — დამოუკიდებლობა, ბერძნებმა ათონელი ქართველები უფრო მეტად შეავიწროეს, სულ გამოდევნეს ძველი სავანიდან და მთლიანად დაეპატრონენ მას.

ქართველ მოღვაწეთა ინტერესი ათონის სავანისადმი ყოველთვის დიდი იყო. იქაური ხელოთმოძღვრული ძეგლები, ფერწერის ნიმუშები, დიდებული ხელნაწერები მწერალთა და მეცნიერთა ყურადღების ცენტრში იყო და არის. იქაური ქართული სიძველენი ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში გაიცნეს და შეისწავლეს პ. იოსელიანმა, დ. ბაქრაძემ და ნ. მარრმა, ჩვენს საუკუნეში — ა. ხახანაშვილმა, რ. ბლეიკმა და სხვებმა.

1977 წელს საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიის კინოექსპედიციამ (რეჟისორი — გ. პატარაია, ოპერატორი — ი. ონოფრიშვილი) გაიცნო ათონის ქართული სიძველენი და გადაიღო სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი, რომლითაც ქართველმა საზოგადოებრიობამ ნათლად გაიგო, თუ რა ეროვნული საგანძური ინახება ათონის მთაზე.

უკანასკნელ წლებში საბერძნეთში სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ვითარება შეიცვალა; საბჭოთა კავშირსა და საბერძნეთს შორის ურთიერთობა გაუმჯობესდა, რის შედეგადაც ქართველ და ბერძენ მოღვაწეთა მეცნიერულ-ლიტერატურული თანამშრომლობის კონტურებიც მოიხაზა. გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა ათონის ივერთა მონასტრის ქართულ სიძველეთა შესასწავლად.

ლევან მენაბდე.

✦✦

სურათზე: ათონის ივერთა მონასტერი საბერძნეთში.

ძველი ქართული კულტურის კერის დაარსების მე-1000 წლისთავის გამო

მამისოფლზე მეფხოვლეებთან

ონის რაიონული კულტურის სახლის აგიტმხატვრული ბრიგადა (ხელმძღვანელი კულტურის განყოფილების გამგე შ. ჯაფარიძე) ეწვია მამისოფლზე მყოფ მეცხოველეებს და კონცერტი გაუმართა. ონის კულტურის სახლის მუშაკებთან ერთად კონცერტში მონაწილეობდნენ ონის სასოფლო კულტურის სახლის თვითმოქმედი კოლექტივების წევრები. კონცერტის პროგრამაში იყო ვოკალური ჯგუფის და ქალთა ტრიოს გამოსვლა, ცეკვები, სკეტჩები, მხატვრული კითხვა. კონცერტს ესწრებოდნენ ღების და უწერის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის, ღების და გომის განყოფილების მუშაკები. საერთო ზეიმში მათაც მიიღეს მონაწილეობა.

ნ. დუშუაშვილი,
აგიტმხატვრული ბრიგადის წევრი.

ყველაფერი ოჯახისათვის

ქალაქ გალში შენდება სავაჭრო კომპლექსი „ყველაფერი ოჯახისათვის“. კომპლექსის ამოქმედებით ერთ-ნახევარ-ჯერ გაიზრდება ქალაქის სამომხმარებლო საზოგადოების საქონლებრუნვა. თუ წელს გალელი კოოპერატორები 20.700 ათასი მანეთის სხვადასხვა საქონელს „გაყიდიან“, უკვე ორი წლის შემდეგ ეს ციფრი 35 მილიონ მანეთს გადააჭარბებს.

წითელ კვალმაძიებელთა კეთილი საქმეები

„ძვირფასო რედაქციავ, ყურადღებით წავიკითხე „კომუნისტის“ 8 მაისის ნომერში გამოქვეყნებული წერილი „არდავიწყება“, რომელშიც, სხვებთან ერთად, ჩემი ძმის ლექსი ივანეს ძე ბურდულის შესახებაც ეწერა. ამ წერილით შევიტყვე, რომ ტულის საშუალო სკოლის წითელ კვალმაძიებლებს მისი საფლავი უპოვიათ და ითხოვენ იმათგან გამოხმაურებას, ვინც ლექსს იცნობდა.

ლექსი დაიბადა 1921 წელს ახმეტის რაიონის სოფელ საკობიანში. წლინახევრისა იყო, დედა რომ გარდაეცვალა. მისი აღზრდა მე და ჩემმა დებმა — ევამ და ნატომ ვიკისრეთ. ვზრდიდით კარგად, თამამად, უდედობას არ ვაგრძნობინებდით. ლექსი იყო მხიარული ყმაწვილი, უყვარდა სპორტი, ჰიდაობდა კიდეც. წარმატებით დაამთავრა დღისის საშუალო სკოლა, შემდეგ საბუღალტრო კურსები. მუშაობდა კოლმეურნეობაში. ომი რომ დაიწყო, ჯერ მე გამიწვიეს ჯარში, მერე ლექსო. ფრონტზე ყოფნისას ერთმანეთისა არაფერი ვიცოდით. მამაჩემ ივანეს ლექსოს მეთაურებისაგან წერილი მიეღო, სადაც აქებდნენ ლექსოს ვაჟკაცობას და მადლობას უხდიდნენ შვილის კარგად აღზრდისათვის. მეტი მისი არაფერი ვიცოდით.

და აი, ტულის საშუალო სკოლის წითელმა კვალმაძიებლებმა ჩვენი ძმის საფლავი იპოვეს. ძვირფასო მეგობრებო, გთხოვთ მადლობა გადასცეთ იმ პატარებს ასეთი კეთილი საქმისათვის. ჩვენ ამ შემოდგომაზე აუცილებლად მოვინახულებთ ძმის საფლავს და ალბათ, იმ მოსწავლეებსაც შევხვდებით.

სვიმონ ბურდული, სოფელი იყალთო“.

ვინ მოთვლის, რამდენი კეთილი საქმის მოთავენი არიან ჩვენი ბავშვები. ისინი საგულდაგულოდ ეძებენ მათი სოფლისა თუ ქალაქისათვის ბრძოლებში დაღუპული საბჭოთა მეომრების ახლობლებს, თანამებრძოლებს, და მათი მონაყოლით, შეკრებენ მასალებით ნათელს ჰფენენ სამამულო ომის ისტორიის ცალკეულ ფურცლებს.

ახლახან რედაქციაში ჯემალ ბადაგაძე გვესტუმრა. იგი წარმოშობით დუშეთის რაიონის სოფელ გრემისხევიდან არის. მას მამა და ბიძა ჰყავს სამამულო ომში დაღუპული. ამ ცოტა ხნის წინათ გრემისხევში ვორონეჟის ოლქის ხოხოლის რაიონის სოფელ გრემიაჩენის საშუალო სკოლის წითელი კვალმაძიებლებისგან წერილი მოვიდა. ისინი იწერებიან, რომ მათ სოფელში სამმო საფლავში განისვენებს ქართველი დიმიტრი იოსების ძე ბადაგაძე. ამ წერილმა სიხარული და მწუხარება მოიგვარა დიმიტრის ოჯახში. ბრ. ლეონტინეს ძე გახოკიძე. ისი შვილები ახლა უკვე დაბერებულნი ერთ-ერთ ეპარქიდან მეორეზე ერიან. ომში წასვლისას, მამამ — რომის ძალ. ვარდენიანმა — (ბრ. ... ...ბერ 183-ე გვარდიულ- საარტილერიო პოლკში. მაშინ პოლკს მაიორი შალვა გახოკიძე მეთაურობდა.

ბევრი სასიკეთო საქმის მოთავენი არიან ჩაქვის ქართული საშუალო სკოლის წითელი კვალმაძიებელნი, რომელთაც სკოლის სამხედრო მასწავლებელი, თადარიგის კაპიტანი რევაზ ხოფერია ხელმძღვანელობს. აი უკვე რამდენიმე წელია ისინი დიდი მონდომებით დაეძებენ დიდი სამამულო ომის წლებში ქობულეთის ფიქვნარში დაკრძალულ საბჭოთა მეჩრძოლის ახლობლებს. საქმე ის გახლავთ, რომ 1941-1945 წლებში ქობულეთის და ციხისძირის დასასვენებელ სახლებში მოთავსებული იყო ჰოსპიტლები, სადაც ოდესიდან, სევასტოპოლიდან, ქერჩიდან და ნოვოროსიისკიდან სამკურნალოდ ჩამოჰყავდათ დაჭრილები. ბევრი მათგანი გარდაიცვალა და ასაფლავებდნენ ფიქვნარში, მაგრამ წარწერებს არ უკეთებდნენ.

და როცა ფრონტმა დასავლეთით გადაინაცვლა და ჰოსპიტლებშიც გადავიდნენ, მათ აქ დაკრძალულთა საბუთებიც თან წაიღეს. ფიქვნარში კი უსახელო ძმათა სასაფლაოები დატოვეს.

ათი წლის წინათ დაიწყეს ქობულეთელმა პიონერებმა დაღუპულთა ვინაობის ძიება. ლენინგრადის სამხედრო-სამედიცინო არქივიდან მიიღეს ფიქვნარში დაკრძალული 91 საბჭოთა მეომრის სია, მან შორის 24 ქართველი.

სკოლის წითელმა კვალმაძიებლებმა ქ. მოსკოვის ცენტრალურ და პოდოლსკის სამხედრო არქივების მეშვეობით დაიწყეს დაღუპულთა ახლობლების ძიება. ჯერ-ჯერობით 38 მეომრის ახლო ნათესავის მისამართი დაადგინეს.

წითელ კვალმაძიებელთა ხელმძღვანელი, თადარიგის კაპიტანი რევაზ ხოფერია გვთხოვს, დაეხმაროთ მათ მიერ დაუდგენელი დაღუპულ მეომართა ოჯახების მიკვლევაში. ესენი არიან: მიხეილ დავითის ძე წოკლაური, ილია გრიგოლის ძე ნამიჩეიშვილი, გრიგოლ დომენტის ძე ჩაგუნავა, მიხეილ პარმენის ძე კაპანაძე, დავით ციცილას ძე ქოქოშვილი, მიხეილ ალექსანდრეს ძე გრატიშვილი, ნიკოლოზ მაქსიმეს ძე გოთუა, დავით პლატონის ძე გურგენიძე და ტერეს ასლანის ძე ჯალაშვილი.

ლ. ხუბულური.

ბავშვები ჩვენს ირგვლივ

თ. ნიკოლაიშვილის, დ. სალიკაშვილ ი ს ა და ზ. დათუაშვილის ფოტოები.

ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲜᲯᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲜᲚᲝᲨᲘ

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ქალაქები ბარი და ლეჩე არჩეულია ქართველ და იტალიელ ხელოვნებათმცოდნე მეცნიერთა შეხვედრის ადგილად. ოქტომბრის დამდეგს იქ გაიმართება მესამე საერთაშორისო სიმპოზიუმი მე-9 — მე-14 საუკუნეების ქართული ხელოვნების საკითხებზე. სიმპოზიუმის მუშაობაში საბჭოთა მეცნიერებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, ინგლისის, ბელგიის, საფრანგეთის სპეციალისტები.

იტალიაში შეხვედრების დროს მეცნიერები განაგრძობენ საუბარს საქართველოს ხელოვნების შესახებ, რომელიც დაიწყო ბერგამოსა და თბილისის პირველ და მეორე სიმპოზიუმებზე.

წლევანდელ ფორუმზე საქართველოს წარმომადგენელი იქნება მეცნიერ სპეციალისტთა დიდი ჯგუფი, რომელშიც შევლენ საქართველოს გ. ჩუბინაშვილის სახელობის ხელოვნების ინსტიტუტის დირექტორი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. ბერიძე, ქართული ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი თ. სანიკიძე, რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურის ძეგლთა და ბუნების დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს ძეგლთა რესტავრაციისა და ადაპტაციის სამმართველოს უფროსი ნ. ალხაზაშვილი და სხვები. სიმპოზიუმის სხდომებზე ყველა ქართველი მეცნიერი გააკეთებს მოხსენებებს. მოისმენენ აგრეთვე რუსი, სომეხი და საზღვარგარეთელი მეცნიერების გამოსვლებს.

შეხვედრის მონაწილენი იმოგზაურებენ იტალიის ქალაქებში, დაათვალიერებენ არქიტექტურულ ძეგლებს. (საქინფორმი).

ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲗᲐ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲐᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲪᲘᲠᲔᲑᲐ

ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ მოჭადრაკე ვაჟთა 48-ე ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირები დნეპროპეტროვსკში, კრასნოდარში, კრასნოიარსკში და ტალინში. მეოთხე-მეხუთე ტურის პარტიებში საქართველოს მოჭადრაკეთა შედეგები ასეთია:

ᲓᲜᲔᲞᲠᲝ�პᲔᲢᲠᲝᲕᲡᲙᲘ. მეოთხე ტურში აზმაიფარაშვილმა ყაიმით დამთავრა შეხვედრა ანიკეევთან. მან მეხუთე ტურშიც ყაიმს მიაღწია, ამჯერად კოზლოვთან. ამავე ტურში სტურუა-სიდეიფ-ზადეს პარტიაც ყაიმით დამთავრდა. ლიდერობენ ვასიუკოვი და ვიტოლინში — 3-3 ქულა 4-4 შესაძლებლოდან.

ᲙᲠᲐᲡᲜᲝᲓᲐᲠᲘ. უბილავას მეოთხე-მეხუთე პარტიები გადადებული აქვს. მან მეს